სახალხო გაზეთი+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხიმშიაშვილი

● №4 (4620) ● 30 მაისი ● 2024 წელი ● saxgani@gmail.com ● ფასი 2.00 ლარი

გილოცავთ 26 მაისს და სასწავლო წლის დამთავრებას!

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

„დედაენის“ მესაძირკვლეა 119-ე ბაგა-ბაღი

ისინი გამოსაშვები ზეიმისთვის ემზადებიან

ბავშვობის მოგონებები, ძალიან ძვირფასი და განსაკუთრებულია თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. ამდენად, საბავშვო დაწესებულებებს უდიდესი ფუნქცია აკისრიათ მოზარდების სულიერი აღზრდისა და სამომავლოდ პიროვნების ფორმირების თვალსაზრისით. ბავშვის ფსიქიკა და სულიერი სამყარო ხომ ძალიან ფაქიზი რამ არის, ამდენად თითოეულ აღსაზრდელთან ინდივიდუალური მიდგომა და ადრეულ ეტაპზე, მათი უნარების სწორად განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ, ინდივიდუალური მიდგომა და პატარებთან სწორი და ადეკვატური კომუნიკაცია არის უმთავრესი თბილისის 119-ე ბაგა-ბაღში, სადაც კვალიფიციური აღმზრდელები მუშაობენ. აქ მოწესრიგებულია როგორც შიდა სივრცე, ასევე გარე პერიმეტრიც და აღსაზრდელებისთვის ადაპტირებული გარემოა შექმნილი. ეზო გამწვანებულია და დამონტაჟებულია საბავშვო ატრაქციონები. ბაგა-ბაღში უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესებიც ზედმიწევნით არის დაცული, ამიტომ მშობლებიც მშვიდად არიან. საბავშვო დაწესებულებას. 119-ე სანიმუშოა.

აღსაზრდელებისათვის შესაფერისი სივრცე-გარემოს შექმნაზე 2007 წლდან ზრუნავს ბაგა-ბაღის დირექტორი. **მაია ჭოხონელიძე, ერუდირებული, კომუნიკაბელური, პიროვნება, გულისხმიერი,ობიექტური და თავდაუზოგავი ხელმძღვანელი სამაგალითო რეპუტაციით სარგებლობს კოლექტივში და აღსაზრდელთა მშობლებში**, რომელიც ერთგულად ემსახურება დაკისრებულ უფლება-მოვალეობას და თავის გუნდთან ერთად მაღალ შედეგებსაც აღწევეს.

აქ სულ 6 სააღმზრდელო და ორი გამოსაშვები ჯგუფია. წარმატებით მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და სრულდება **„სასკოლო მზაობის“** პროგრამაც. საბავშვო დაწესებულება ერთ-ერთი მოწინავეა დისციპლინისა და მეთოდური განათლების მხრივ დედაქალაქში.

საგულისხმოა, რომ ბაგა-ბაღში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისთვის უდიდესია აღმზრდელების როლი, რომლებიც თავიანთ თანაშემწეებთან ერთად, მუხლჩაუხრელად ზრუნავენ ბავშვების აღზრდა-განათლებაზე. ბაგა-ბაღში სულ დასაქმებულია 39 თანამშრომელი. ქებას იმსახურებენ პროფესიონალი აღმზრდელები: **ლალი გიორგაძე, მაია დგებუაძე, ირმა გელოვანი, მარი რობაქიძე, თინიკო კვირიკაშვილი, მაია ტარუღიშვილი** და **თამილა ქორაია**; ასევე, აღმზრდელის თანაშემწეები: **ეთერ ანთიძე, მანანა გულაშვილი, თამუნა ბოსტოღანაშვილი, ინგა ელიზბარაშვილი, სოფიო ტატანაშვილი, მარინე ბაშალეიშვილი** და **ხათუნა კაკურია.**

ბაგა-ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით: საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორ **მანანა ჯალიაშვილს**, საქმისმწარმოებლებს - **მზია გოგინაშვილს**, **ანი მჟავანაძეს,** ლოგოპედ **მანანა ანდღულაძეს**, ფსიქოლოგ **თეა სადაღაშვილს**, სპეც. პედაგოგს **მაია მოსეშვილს** და სხვებს.

მაია ჭოხონელიძე: 119-ე ბაგა-ბაღის შენობა 1905 წელს აშენდა და იგი სრულ რეაბილიტაციას მოითხოვს. ბაგა-ბაღების სააგენტოს დახმარებით, უკვე მომზადდა შენობის ახალი პროექტი აშენების და რეკონსტრუქციის გათვალისწინებით. დედაქალაქის მერიისგანაც მივიღეთ მშენებლობის ნებართვა და ველოდებით აღნიშნული პროექტის განხორციელებას. იმედია, სამომავლოდ გვექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაგა-ბაღი. ახლახანს, მერიის და რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად, ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი **კახა აბულაძე** და შეხვედრის დროს შეგვპირდა, რომ ახლო მომავალში დაიწყება აღნიშნული პროექტის განხორციელება.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საბავშვო დაწესებულებებში დაინერგა HACCP (ჰასპის პროგრამა). სააგენტოს

→ გაგრძელება მე-2 გვ.

ლეილა ვადაჭკორია

ყვავილების ზეიმი

ზოგან ტიტა, ზოგან ვარდი,
ზოგან ია შემომხვდა,
და მაისი მომილოცა
მერცხლის გუნდის შემოსვლამ.
ფურისულამ გამიღიმა,
მორცხვად თავი დახარა,
გვირილამაც ამ მაისის
მობრძანება მახარა.
საქართველოს მთა და ბარი
ყვავილებმა დაფარა,
ჭუდი სწრაფად დაიხურა
არც თუ ცივმა ზამთარმა.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

თავდადებით ილვაწეს – გამარჯვება სახეზეა

გამარჯვების სიხარულს ვერაფერი შეედრება. ეს კარგად ჩანდა კურსდამთავრებულთა გამოშვების ზეიმზე. ჟრიამული, სიხარული, სკოლასთან, აღმზრდელებთან გამოთხოვების მსუბუქი ცრემლები, სამახსოვრო წარწერებით აჭრელებული თეთრი „საროჩკები“. მშობელთა ბედნიერება, დამოუკიდებელი ცხოვრების ფართო გზაზე გასვლის ემოციები.

უნებურად მახსენდება გიორგი ლეონიძის ოდნავ შეცვლილი სტრიქონები: „შენ აყვავდი სკოლავ მეტად, მზე შენა და ვარდის ფენა, შენ გაზარდე ბევრი მოყმე, ვინც მამული დაამშვენა“. ამ ყმაწვილებსა და ქალიშვილებს ჩვენი რედაქციის სახელით დავულოცავ ცხოვრების გზას, ხოლო კლასიდან კლასში გადასულებს, ასევე ყველა პედაგოგს, სკოლის მუშაკს მხიარულ არდადაგებს ვუსურვებ.

ვიმეორებ, სასწავლო წელი წარმატებით დაასრულეს. ეს მიტომ, რომ სკოლას ძლიერი პედაგოგები ჰყავს. ეს მიტომ, რომ სკოლას ძლიერი, შემოქმედი დირექტორი **მიხეილ ჩიქოვანი** და ასევე გამოცდილი მოადგილე **მზევი ცომაია** ჰყავს. თბილისში ორასზე მეტი საჯარო სკოლაა. აქედან თითებზე ჩამოსათვლელადაც არ მეგულება. მათემატიკაში მეცნიერებათა დოქტორი,



ე.ი. პროფესორი, რომ უძღვებოდეს პედკოლექტივს. **მიხეილ ჩიქოვანი** პედაგოგიური ოჯახის ბრწყინვალე წარმომადგენელია. დედა **მერი ჩიქოვანი** 139-ე სკოლის მათემატიკის დამსახურებული მასწავლებელია. ამ სკოლაში ათი წელია ამ წერილის ავტორიც ვასწავლიდი ქართულს. აქ კარგახანია, ჩემი ნამოწაფარი **დარეჯან ლაბარტყავა** ზრდის ახალ თაობას რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის ქართულით.

გთავაზობთ სკოლიდან მიღებულ მოკლე ინფორმაციას სასწავლო წლის შედეგებზე.

***

მიღწევებით ვამაყობთ

სსიპ-ქალაქ თბილისის 92-ე საჯარო სკოლის დირექტორია **მიხეილ ჩიქოვანი** მადგილეა **მზევი ცომაია.**

გასულ წელს ორ პედაგოგს **მიხეილ ჩიქოვანს** (მათემატიკის მასწავლებელი) და **სოფიო თავაძეს** (ქართულის მასწავლებელი) მიენიჭა მენტორის სტატუსი. აქვე მოგახსენებთ, რომ ვამაყობთ **სოფიო თავაძის** მიღწევებით, რადგან წარდგენილია მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე. ასევე სტატუსი აიმაღლეს და წამყვანი პედაგოგები გახდნენ: **დალი გოშუა** (ქართულის მასწავლებელი), **მაგული ცხადაძე** (ფიზიკის მასწავლებელი), **მზიური გურგულიანი** (ინგლისურის მასწავლებელი) და **ნინო ჭოლიკიშვილი** (ისტორიის მასწავლებელი).

გასულ წელს სკოლაში გვყავდა 6 ოქროს და 2 ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე. წელს 5 ოქროს და 2 ვერცხლის მედალს ავიღებთ. ამ კვირაში დაგვიბრუნდა გოგონა **თამარ თათელაძე,** რომელიც მთელი წელი აშშ-ში სწავლობდა ფლეხ პროგრამით.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩენი სკოლის მოსწავლეები წარმატებით მოღვაწეობენ „ევერესტის“ და „კინგსის“ ოლიმპიადებში, ესენი არიან: **თამარ მუკვანი, მათე თუთიაშვილი, სიდონია იაკობაძე, ლაზარე იაკობაძე, გურამ ჩიქოვანი, მერი ჩიქოვანი, ლევან აზნაურაშვილი, ალექსანდრე სარუხანიანი, ანდრია შაქარაშვილი, გაბრიელ გოგინაშვილი, დავით კალოი, ნიკოლოზ ჩაკვეტაძე, ქრისტინე ზუბიტაშვილი** და სხვები.

ძალიან ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი მე-5 კლასელი გოგონა **კესარია კუჭუხიძე** წელს კინგსის სახე გახდა და თბილისის ყველა სკოლაში დარიგებულ სარეკლამო პოსტერზე ჩვენი კესარია მოუწოდებს მოსწავლეებს, რომ „წარმატება შენს ხელშია!“ რადგან გოგონამ გაზაფხულის და შემოდგომის ოლიმპიადები მოიგო. ასევე გაიმარჯვა ევერესტის ოლიმპიადაში და ოქროს ათეულში მოხვდა, უნდა აღვნიშნოთ, რომ კესარიას მათემატიკის მასწავლებელი – **მზევი ცომაია,** ხოლო ქართულის მასწავლებელი – **ლალი ქოჩორაძეა**.

სკოლაში სიცოცხლე ჩქეფს. წელს ჩვენი პედაგოგების მიერ ჩატარებული 22 ღონისძიება და ღია გაკვეთილი მოვისმინეთ და ვნახეთ. ყველამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

დღეს 20 მაისს, სკოლაში ჩატარდა ბოლო ზარი, სკოლა დაამთავრა ორმა მეთორმეტე კლასმა, მედალოსანი მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებულ სტენდზე გაიხსნა ვარსკვლავები.

***

ამ მოკლე სტატისტიკით კარგად იგრძნობა, რომ სკოლაში სიცოცხლე ჩქეფს. 92-ე სკოლელებო შინაარსიან დასვენებას, მხიარულ არდადაგებს გისურვებთ!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

P.S. რედაქტორის მინაწერი: დიდი მადლობა ბატონ **მიხეილ ჩიქოვანს**, რომ ჩვენის გაზეთის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენს, მხარში გვიდგას და თანამშრომლობს.

„დედაენის“ მესაძირკვლეა 119-ე ბაგა-ბაღი

პირველი გვერდიდან

თანადგომით და დახმარებით კარგ შედეგს მივაღწიეთ და ბავშვებისათვის უსაფრთხო, მოწესრიგებული გარემო შეიქმნა. ბაღი აღჭურვილია საგანმანათლებლო მეთოდური სახელმძღვანელოებით და ყველა საჭირო ინვენტარით. კმაყოფილი ვარ ჩემი კოლექტივის მუშაობით, რომლებიც დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ პატარებს.

საბავშვო დაწესებულებაში ყოველ წელს იმართება სეზონური ზეიმები, სხვადასხვა აქტივობა და შემოქმედებითი ღონისძიება. დიდი ყურადღება ექცევა პატარების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით იმართება შემეცნებითი მეცადინეობები. ამჟამად, ბაგა-ბაღში გამოსაშვები ჯგუფის ღონისძიებისთვის ემზადებიან. აი, ასეთი საინტერესო აქტივობები იმართება თბილისის ერთ-ერთ სანიმუშო 119-ე ბაგა-ბაღში, სადაც ყველაფერი შექმნილია იმისთვის, რომ პატარებმა თავი ბედნიერად იგრძნონ და აქ გატარებული წლები სამუდამოდ დაამახსოვრდეთ.

მზია გოგოძე

P.S.**რედაქტორის მინაწერი:** მშობლები მეტად კმაყოფილი არიან ამ ბაგა-ბაღით. ამიტომაა, რომ ცეროდენები აქეთკენ სიხარულით მორბიან. როგორც ჩვენი ჟურნალისტი **მზია გოგოძე** აღნიშნავს, აქ კომფორტული პირობებია შექმნილი პატარების სწავლა-აღზრდისათვის. მერიის ბაგა-ბაღების სააგენტოც ზრუნვას არ აკლებს, ბაგა-ბაღს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. დირექტორი **მაია ჭოხონელიძე-ჯალაღონია** არამარტო ცეროდენების, არამედ ჩვენი გაზეთის დიდი მეგობარიც არის. მუდამ მხარში გვიდგას. ამისთვის დიდი მადლობა, ქალბატონო მაია. ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ.

სკოლა „ცოდნის“ ბარაძიანი შემოდგომა

გიგლა, გეყოფა სწავლა!

აი, ზეიმი, ჯერ არნახული! აი, ჟრიამული, განშორების მსუბუქი ცრემლი. წარწერებით აჭრელებული თეთრი „საროჩკები“. აი, გალაკტიონის ფიცი, ასე შეცვლილი: „არ დაგივიწყებთ სანამ, არის ცხოვრების რბოლა, აღმზრდელო პედაგოგებო, ჩვენო ძვირფასო სკოლა!“ აი, ღვაწლმოსილი დირექტორი **ნაზი ნადირაძე,** მოადგილეები.

სახეები, ბედნიერი მშობლები. უფროსი თაობაც ამ განცდებით ვართ დამუხტული. ჩვენც ამ დღეში ვიყავით თავის დროზე. გუშინდელ დღესავით მახსოვს ბავშვობაში ნასწავლი: „სწავლობს გიგლა ტიტინა, მზემ შემოუჭვრიტინა: გიგლა, გეყოფა სწავლა, ახლა კარგია გავლა...!“

დაძაბულ შრომას მართლაც ძალიან მოუხდება შინაარსიანი დასვენება.

სკოლა „ცოდნას“ საკუთარი ჟურნალისტ-პედაგოგიც ჰყავთ. დანარჩენს ისინი მოგვახსენებენ. ჩვენ კი დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გამოსულთ გამარჯვებებს ვუსურვებთ, კლასიდან კლასში გადასულებს კი – მხიარულ არდადაგებს!

ბორის მიშველაძე

საქ. დამს. ჟურნალისტი

***

„ბოლო ზარი” დაირეკა 20 მაისს საქართველოს სკოლებში, მეთორმეტეკლასელები დაემშვიდობნენ მშობლიური სკოლის კედლებს, კლასელებს, მასწავლებლებს, საოცარ წლებს, უდარდელ ბავშვობას ...

ეს დღე ხომ ყველაზე



გაგრძელება მე-4 გვ.

ულამაზესი სანახაობა მოაწყვეს კერძო სკოლა „ცოდნას“ (დირექტორი **ნაზი ნადირაძე**) მეთორმეტეკლასელებმა სკოლის ეზოში. წვიმიანი დღეების შემდეგ მზემ გამოანათა და თითქოს ისიც დაჰხაროდა ბედნიერებით, ერთმანეთის სიყვარულით გამთბარ ახალგაზრდებს.

განსაკუთრებულად ლამაზი, ფერადი და ემოციური იყო ამ დღეს ყველაფერი:

ეზოს ულამაზესი დეკორაციები, მანტიებით შემოსილი თვალებანთებული გოგო-ბიჭები, თეთრი პერანგები ფერადფერადი ნახატებით, წარწერები და ტექსტები მილოცვების, თავისუფლების შეძახილების, მოფერების, სიყვარულის ახსნის, კეთილი სურვილების... და უკვე მონატრების...

იყო მოსწავლეთა საზეიმო დასამახსოვრებელი და დაუვიწყარია მათ ცხოვრებაში,მაგრამ ამავე დროს სევდანარევიც...

წარდგენა, სახალისო ნომინაციები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა დაჯილდოება, მოგონებების გაცოცხლება, იუმორისტული, მუსიკალური ნომრები, სკოლის დირექტორის ქალბატონი **ნაზი ნადირაძისა** და კლასის დამრიგებლის **ლია ბაზაძის** მადლიერების გამომხატველი,ემოციური სიტყვები თავიანთი აღსაზრდელებისა და მათი მშობლების მიმართ.

გამორჩეული და ნიჭიერი კურსდამთავრებულები ჰყავს „ცოდნას“ ყოველთვის, წელსაც ასეა... სკოლა ამაყობს თავისი წარმატებული და ნიჭიერი მოსწავლეებით ,რომელთა შორის ოთხი „ოქროს მედლის” კანდიდატია. ესენი არიან:

112-ე სკოლაში

ცოტ-ცოტათი ბევრი საქმე გაკეთდა

წერილის დაწყებისას ერთი ბრძენკაცის სიტყვები გამახსენდა: „არასოდეს თქვათ უარი მცირედზე, რადგანაც მცირედისაგან შენდება დიდი!“ ისტორიის მასწავლებლებმა ჩემზე უკეთ იციან, თუ ვინ იყო ეს ბრძენკაცი.

სახელოვანი ტრადიციების გახლავთ 112-ე საჯარო სკოლა. აქ უმოღვაწიათ გამოჩენილ პედაგოგებს, დირექტორებს. საკმარისია დავასახელოთ ამ რაიონის განათლების განყოფილების ყოფილი გამგე, ჯერ 48-ე სკოლის და შემდეგ ამ სკოლის დირექტორი **დემურ კალანდაძე.**

კარგა ხანია ამ მემკვიდრეობას წარმატებით უძღვება ნიჭიერი ორგანიზატორ-მეთაური ამ სკოლისა **ნინო თაბაგარი**, მას მხარს უმშვენებენ ასევე გამოცდილი მოადგილეები: **ლიანა მთიულიშვილი** და **დავით კვანტრიშვილი.**

გამახსენდა, **ლიანა მთიულიშვილს** მე ვუკითხავდი დედაუნივერსიტეტში ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკას, ვუძღვებოდი მის პედაგოგიურ პრაქტიკას.

ეს სასწავლო წელი სკოლამ, მისმა ძლიერმა პედკოლექტივმა წარმატებით დაასრულა.

დანარჩენზე მოკლედ მოგვითხრობს სკოლიდან მიღებული ინფორმაცია.

***

მეორე სემესტრი უკეთესი იყო

ჩვენი სკოლა ღირსეულად ატარებს შოთა რუსთაველის სახელს, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი, გუნდურად და შეთანხმებულად მუშაობს, ნათლად აქვს გააზრებული სკოლის საზოგადოებრივი ფუნქცია და მიზნები. ვცდილობთ სკოლაში დავნერგოთ ყველა სიახლე და მივიღოთ სხვადასხვა სახის გამოწვევები. ამჟამად სკოლა მეორე სემესტრიდან, რეაბილიტაციის გამო იმყოფება N190 და N129 საჯარო სკოლებში, ჰიბრიდული სწავლების მოდელზე. სკოლის დირექტორია ქალბატონი **ნინო თაბაგარი**, რომელიც ძალისხმევას არ იშურებს სკოლის წარმატებისა და სახელის მოპოვებისათვის. დირექტორის მოადგილეები არიან: **ლიანა მთიულიშვილი** და **დავით კვანტრიშვილი,** დღეს, ჩვენს ქვეყანას, როგორც არასდროს ესაჭიროება განსწავლული თაობა, ამ სკოლის პედაგოგებიც სწორედ ჯანსაღი აზროვნების მქონე თაობის აღზრდასა და მათ ღირსეულ პიროვნებებად, ჩამოყალიბებაზე ზრუნავენ. ამჟამად სკოლაში 84 მასწავლებელია საიდანაც 14 წამყვანი სერთიფიცირებულია: **ნათია ადამაშვილი, ნინო ბარამიძე, ეკატერინე კუტალაძე, თეა მაისაია, ლიანა მთიულიშვილი, ეკატერინე ნადირაძე, ნანა ნადირაძე, საბა სალუაშვილი, ხათუნა სამხარაძე, ნინო სხირტლაძე, მაია უშიკიშვილი, სოფიკო შულაია, ნინო ძაბახიძე, ლელა ხელისუფალი.**

განათლების რეფორმის მიმდინარეობის საფუძველზე სკოლაში მაქსიმუმამდეა გაზრდილი თითოეული რგოლის მუშაობის ეფექტიანობა, ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უსაფრთხო გარემოს შექმნას, მოსწავლის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. სკოლის დირექციის მიზანია პროფესიული და კეთილ განწყობილი გარემოს შექმნა. სკოლაში ორიენტაციაა აღებული მაღალ პროფესიონალიზმზე ურთიერთთანამშრომლობაზე, გულახდილობასა და ურთიერთ პატივისცემაზე, დიდი ყურადღება ექცევა შიდა სასკოლო დისციპლინას, გარემოს შექმნას, რომელიც მოსახერხებელი იქნება მოსწავლეთათვის. დაწესებული გვაქვს და ყოველ წლიურად ვატარებთ თვითმართველობის დღეს, მთელი დღის განმავლობაში სკოლას მართავენ მოსწავლეები შიდა კანონმდებლობის დაცვით, საგნების უკეთ სწავლებისათვის ჩამოვაყალიბეთ

საგნობრივი კლუბები: **მათემატიკის კლუბი, კლუბი-წიგნის ჭია, ეკო კლუბი.** ტვინების ბრძოლის საგაზაფხულო ტურნირი, შიდა სასკოლო დებატების ტურნირი, გეოგრაფიული პროექტი-გლობალური დათბობა, სპორტული აქტივობები შიდა სასკოლო ჩემპიონატები, კალათბურთის, ფრენბურთის და ფეხბურთის სახეობაში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს სკოლის ინიციატივა რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს სკოლის დირექციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა კომპოზიტორ **ნუგზარ თუშიშვილთან** ერთად, რომელმაც შექმნა 112 სკოლის ჰიმნი **„დაგვილოცე ღმერთო“.**

ჩვენი გაზეთის რედაქცია ულოცავს 112-ე სკოლელებს სასწავლო წლის დამთავრებას, ჯანსაღ დასვენებას და ახალ-ახალ წარმატებებს უსურვებს!

ბორის მიშველაძე
პედაგოგიკის დოქტორი

სკოლა „ცოდნის“ ბარაქიანი შემოდგომა

მესამე გვერდიდან

რეზი გეგია, ვალერია კაცაძე, სალომე ქობელაშვილი, სალომე ჩანტლაძე.

მასწავლებელს, სკოლას უდიდესი ძალა შესწევს, წარუშლელი და სამარადისო კვალი დატოვოს ადამიანის ცხოვრებაში. სკოლა ხომ, უპირველეს ყოვლისა, ურთიერთობათა კულტურაა. მეგობრობის, ერთობის, გაზიარების, თანადგომის, ურთიერთსიყვარულის, ადამიანის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბების მთავარი შემოქმედი.

P.S. რედაქტორის მინაწერი: ვუერთდებით „ცოდნელთა“ სიხარულს. გილოცავთ სასწავლო წლის დამთავრებას. ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ. დიდი მადლობა, ქალბატონ **ნაზი ნადირაძეს** მუდმივად ჩვენთან თანამშრომლობისა და დახმარებისათვის!



როცა საქმეს პროფესიონალები აკეთებენ

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო“

ბევრი კარგი, ჭკუის სასწავლებელი ანდაზა გვაქვს ქართველებს. ერთი ასეთთაგანია – სხვა სხვის ომში ბრძენიაო.

კიდევ: გონიერ კაცს უთქვამს, ცუდად ცოდნას სულაც არცოდნა ჯობსო. ცუდად ცოდნას, გნებავთ, სხვის ომში ბრძენობის დაჩემებას, სხვაგვარად დილეტანტიზმი, ზედაპირულობა ჰქვია და სწორედ ეგაა რომ აქცევს ქვეყანას. დაგვანელა ცუდად მცოდნეთა, ვაიბრძენთა პარპაშმა. მიმოვიხედოთ.

ასეთი ქუაფი შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ მკვეთრად წარმოჩენილიყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების ღვაწლი ყმაწვილების ჰარმონიულად, შემოქმედებითად აღზრდაში, რადგანაც მსმენია მავან ცუდად მცოდნეთა და ვაიბრძენთა გამონათქვამი – მაგათ რა უჭირთ (ანუ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებს), ბავშვები თავად ირჩევენ, რა უნდათ – ცეკვა, სიმღერა, სპორტი... თანაც, მშობლებიც ხომ იქვე ჰყავთ...

არადა, სწორედ აქ არის ჩამარხული ძაღლის თავი. ჯერ რომ ხშირად მშობლების აჩემებაა ძალზე ძნელად გადასალახი. ჩემი შვილი სიმღერის, მუსიკის და ა.შ. ვუნდერკინდია, აუცილებლად ამ წრეზე უნდა იაროსო. თუმცა, გონიერი მშობლები კი უწევენ ხოლმე ანგარიშს შვილების სურვილს, მათ უნარსა და მიდრეკილებებსაც ითვალისწინებენ, მაგრამ, დამენთახმებით, ბავშვის არჩევანს, ძალზე ხშირად, სწორედ მშობლების დაჟინება განაპირობებს.

სწორედ ესა აქვთ, უპირველესად, დასაძლევი მოსწავლე-ახალგაზრდობის მესვეურებს, მუშაკებს და, შემდგომად ამისა, უკვე ყმაწვილებთან ფაქიზი, ტაქტიანი მუშაობა, რათა სიდრმისეულიდან ამოაწვდინონ მათი ჭეშმარიტი ნიჭი, უნარ-ჩვევები და სწორედ იმ გზებზე ატარონ, რაც მათთვის უბოძებია აზრთაგამრიგეს.

რას იტყვით, პატივცემულნო ცუდად მცოდნეებნო და სხვათა ომებში ბრძენნო, ხომ არც ისე იოლი ყოფილა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში მუშაობა? მით უფრო, საგაზეთო სივრცე არ გვაძლევს პრობლემების გამოწვლილვით წარმოჩენის საშუალებას. მაგრამ, ვგონებ, ნათქვამიც საკმარისია არამკითხეთა სიცრუის გასაბათილებლად და ამის მცირე, მაგრამ მტკიცე დასტური **ძველი თბილისის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის დირექტორის, განათლების ამ დარგის გამოცდილი, ღვაწლმოსილი მუშაკის, ქალბატონ ხათუნა კახიძე–ჯელიას ქვემომოხმობილი წერილიცაა.**

დაარსების დღიდან ვემსახურებით არაფორმალურ განათლებას, რომელიც, ვფიქრობ, აუცილებელია თითოეული მოსწავლისათვის და ძალიან კარგად „დაშენდა“ ფორმალური განათლების პროგრამებზე. მუდმივად ვცდილობთ, მოსწავლეების ცოდნისა და ინტერესების გამრავალფეროვნებას. ამიტომ, ძველი თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაერთიანებულია საგნობრივი, სახელოვნებო და სპორტული მიმართულებები. თავდაპირველად, გვინდა, გაგაცნოთ თეატრალური სტუდია „პერსონაჟი“, რომლის ხელმძღვანელიც მრავალ ნომინაციაში დაჯილდოებული მსახიობი, სახალხო არტისტი, **ვერიკო ანჯაფარიძისა** და **ელენე ყიფშიძის** სახელობის ჯილდოების მფლობელი **ნინო ლეჟავა** გახლავთ. სტუდია 30-მდე მოსწავლეს აერთიანებს. კურსის ფარგლებში, ისწავლება გამართული მეტყველება, არტისტიზმი, სასცენო ოსტატობა, მოძრაობის პლასტიკა. ამასთან, მუდმივად იმართება სამსახიობო ოსტატობის მასტერკლასები. ბავშვები ვითარდებიან, ახალ-ახალ ცოდნასა და უნარებს იძენენ, ხვეწენ ზეპირმეტყველებას. ყმაწვილები დიდ გამოცდილებას ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობითაც იძენენ. სტუდიის სპექტაკლი „დოდონას ძველტიფლისური ამბები“ წარმატებით დაიდგა მოზარდ მაყურებელთა თეატრში. ამავე სპექტაკლმა ანშლაგით ჩაიარა და დიდი მოწონება დაიმსახურა ქუთაისში სასკოლო თეატრების ფესტივალ „ნოვაციასა“ და ბაკურიანში გამართულ ხელოვნების ფესტივალ „ფანტელზე“. სპექტაკლმა 10 სხვადასხვა ნომინაციაში გაიმარჯვა, **ნინო ლეჟავას კი წლის საუკეთესო რეჟისორის წოდება მიენიჭა.** ამჟამად მზადდება ორი ძალიან საინტერესო და სანახაობრივი სპექტაკლი: **„წითელქუდა“** და **„ბურატინო“.** წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს თეატრალურ სტუდიას! აღსანიშნავია, რომ კურსის განმავლობაში ქალაქგარეთ იმართება სხვადასხვა საინტერესო ღონისძიება. მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეები, მშობლებთან და ხელმძღვანელთან ერთად, იყვნენ ყვარელში, **კოტე მარჯანიშვილის** სახლ-მუზეუმში, სადაც გაიმართა ინფორმაციული შეხვედრები და გასართობი აქტივობები.

ახლა მოკლედ გაგაცნობთ ქართული ხალხური ცეკვების სტუდიის მუშაობას. მისი ხელმძღვანელი გახლავთ **ფრიდონ სულაბერიძე** (უმცროსი). სტუდიაში გაწევრიანებულია 6-დან – 15 წლამდე 100-მდე მოსწავლე. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნული ცეკვების შესწავლასთან ერთად, ყმაწვილები ქართულ კულტურას ეცნობიან. **ფრიდონ სულაბერიძის ცეკვის აკადემიასთან** ერთად, ჩვენი სტუდიის მოსწავლეები მონაწილეობენ მრავალ კონკურსსა და ფესტივალში; ხშირად იწვევენ სხვადასხვა ტელეკომპანიაში და ქვეყნის ცნობად სახეებთან შეხვედრისა და საუბრის შესაძლებლობა ეძლევათ.

მხატვრული ტანვარჯიში ჩვენს ფილიალში ერთ-ერთი მოთხოვნადი მიმართულებაა. ხელმძღვანელია საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი, სპორტის ოსტატი **ქეთევან ჯანიაშვილი**. მოსწავლეებს ვთავაზობთ მათთვის საინტერესო და ჯანმრთელი ორგანიზმისთვის აუცილებელ ფიზიკურ ვარჯიშებს: ტანვარჯიშს, პლასტიკას, გაწელვას, ქორეოგრაფიას; შესაბამისად, ბავშვის სხეული მზად უნდა იყოს ამ დატვირთვისათვის. კურსის ფარგლებში, მოსწავლეები ემზადებიან ტურნირებისა და ჩემპიონატებისათვის. მათ მრავალი ჯილდო და მედალი აქვთ მოპოვებული.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრე, რომლის ხელმძღვანელი უნიჭიერესი ახალგაზრდა მხატვარი და გრაფიკული დიზაინერი **ნუცა ხამხაძეა**, ერთ-ერთი გამორჩეული მიმართულებაა ჩვენს ფილიალში, ვინაიდან მოსწავლეების ყოველდღიური განვითარება და მათი ნიჭის მუდმივი დახვეწა თვალშისაცემია ყოველ გაკვეთილზე. აღნიშნული წრის მიზანია, მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება სახვით ხელოვნებაში, მათი შემოქმედებითი უნარების განვითარება. პერიოდულად იმართება გამოფენები და ნებისმიერ მსურველს ეძლევა შესაძლებლობა მოვიდეს და დაათვალიეროს ჩვენი მოსწავლეების მიერ შესრულებული უაღრესად საინტერესო ნახატები.

დამატებითი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მომსახურება ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და, შესაბამისად, ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. აქედან გამომდინარე, ჩვენთან საგნობრივი მიმართულებებიც საკმაოდ აქტუალური და მოთხოვნადია, რაც ძალზე უწყობს ხელს ყმაწვილების საჯარო განათლების გაუმჯობესებას.

ძველი თბილისის ფილიალში გაერთიანებულია 400-მდე მოსწავლე. სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა სწავლებას მერია აფინანსებს. ამავდროულად, მოქმედებს „სწავლის წარჩინებულის“ პროგრამა, ასევე მერიის დაფინანსებით, რისთვისაც მადლობას ვუხდით თბილისის მერიას. სახელოვნებო მიმართულების გარდა, მოსწავლეები სხვადასხვა საგნით ინტერესდებიან. გამოსაკვეთია სააბიტურიენტო პროგრამები. ისინი ჯგუფურად და ინდივიდუალურად იმართება. ჩვენი პროგრამის

გაგრძელება მე-6 გვ.

საქმემან შენმან...

ტაქტი, ნიჭი და პედაგოგიური ოსტატობა

ასეა: სადაც გინდა იყო, რა გინდა რას ეწეოდე, როცა იქნება (დრო მოუწევს, მომწიფდება), მოგკიდებს უხილავ ხელს შენი ანგელოზი და სწორედ იმ ადგილზე, იმ საქმეზე დაგაყენებს, რისთვისაც მოგავლინა ამქვეყნად მამაზეციერმა. ზოგი იშნოვებს ამ მადლს, ზოგი –ვერა და მთელი ცხოვრება ღობეყორეს ედება, უკვე ვეღარ პოულობს თავის ადგილს, მოწოდებას.

ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ხელოვნების მე-5 სკოლის დირექტორს, ღვაწლმოსილ ხელოვანს, ღირსების ორდენის კავალერს, ქალბატონ **მარინე არაგვიშვილს** ამ 55-ოდე წლის წინათ მოჰკიდა უხილავი ხელი მისმა ანგელოზმა და ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე განამწესა.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. წყალმა კი ჩაიარა, მაგრამ, ქალბატონ მარინეს ხელმძღვანელობით, „ქვიშანი“ – მოსწავლეთა უამრავი ჯილდო, სიგელი, ლაურეატობა ხომ დარჩა და დარჩა, რითაც სრულიად დამსახურებულად ამაყობს ხელოვნების სხვადასხვა იდუმალების წვდომის ეს ტაძარი.

თუ ბუნებაში ერთნაირად დამუხტული ნაწილაკები განიზიდება, განგების ნებით, ერთი ლტოლვით, ერთი გზნებით დამუხტული ადამიანები მიიზიდებიან, დუღაბდებიან და ასე ერთობლივად მიისწრაფიან მიზნისაკენ.

სწორედ ასეა ხელოვნების მე-5 სკოლაში და ზემონახსენები მრავალი წარმატება მისი ყველა პედაგოგის, ყოველი მუშაკის ღვაწლი და დამსახურებაა.

მართლაც, რაოდენი ტაქტი, ნიჭი, პედაგოგიური ოსტატობა და გულისხმიერება, ყმაწვილების შინაგანი ბუნების წვდომის უნარია საჭირო, რომ სათუთად ამოაწვდინო და გამოამზეურო ყოველი მოსწავლის არსიდან ღვთით ბოძებული ნიჭი, სწრაფვა და, სწორ კალაპოტში ჩაყენებული, თანდათან, მიზანმიმართულად ატარო ხელოვნების ზეაღმტაცი სამყაროს ერთობ რთულ, მაგრამ საოცრად მადლიან გზაზე.

დავაკონკრეტოთ: სკოლის წამყვანი განყოფილებებია თანამედროვე სპორტული ცეკვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა. სპორტული ცეკვის ანსამბლი მოწინავეა საქართველოს სპორტული აერობიკის ჯგუფებს შორის. მოპოვებულია მრავალი გამარჯვება და ჯილდო ჯგუფურ, სოლო და დუეტის ნომრებში. სკოლას ასახელებენ მოსწავლეები: **ხრიკელი მია, ავსაჯანიშვილი მართა, ბარამიძე თათა** (მასწავლებელი – **ნანი სიხარულიძე), ტატიშვილი ეთერი, მშვენიერაძე ბარბარე, ოლეინიკი ბარბარე, კვანტიძე მარიამი, ქველიძე მარიამი, ქუშაშვილი ნუკი, ლელაშვილი ანასტასია, გუგეშაშვილი ნინო, გუგეშაშვილი ნანა, კაპანაძე ლილე, ბალაშვილი მარიამი, ჯაჭვლიანი ბარბარე, ჯიოევა ევა, ხუციშვილი ლიზი, ბურჯანაძე ელენე, ბაქრაძე ბარბარე** (მასწავლებელი – **ქეთევან სიხარულიძე). თეკლა ბექაურმა** კი სატელევიზიო გადაცემა „ნიჭიერში“ პირველი ეტაპი გაიარა და შემდეგი ეტაპისთვის ემზადება.

სახვითი ხელოვნების განყოფილებას **ინგა ფრანგულაშვილი** ხელმძღვანელობს. მისი მოსწავლეები მრავალ გამოფენაში მონაწილეობდნენ და სიგელებით დაჯილდოვდნენ. ამჟამადაც წარმატებით მონაწილეობდნენ კონსერვატორიაში გამართულ გამოფენაში – „მე მინდა საქართველო მიცნობდეს“. სახელდობრ, მოწონება დაიმსახურა: **ანასტასია ჩეკურიშვილის, მარიამ ქველაძის, ელენე კიკვაძის, ანასტასია ლელაშვილის, მარიამ ალავიძის, ნინი გოჩიაშვილის, ბარბარე ჩინჩალაძის, ნინი მადურაშვილის, რაფაელ კაფარის** ნამუშევრებმა.

სულ რამდენიმე თვეა, რაც სკოლაში გამოყენებითი ხელოვნების განყოფილება გაიხსნა **ნატალია კოლესნიკოვას** ხელმძღვანელობით. მცირე დროის მიუხედავად, მოსწავლეებმა სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიეღოთ გამოფენაში **„მე მინდა საქართველო მიცნობდეს“** და შექმნეს ორი პანო, სადაც გამოყენებულია ხელსაქმის სხვადასხვა სახეობა: საქსოვი ძაფი, ბისერი, თექა...

მათ შექმნაზე იმუშავეს მოსწავლეებმა: **ანასტასია ჩეკურიშვილმა, ანანო თავაძემ, მარიამ ქურხულმა, ქეთევან რაზმაძემ, ლინდა და სალომე სამაშვილებმა, ანასტასია ჩეკურიშვილმა, მარია პეტროვამ, მარიენ ფრიდონიშვილმა, ანასტასია ამირიძემ, ელენე ხუბაშვილმა.**

აღსანიშნავია, საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლის **ანა მარია ჯიქიძის** (მასწავლებელი – **მ. გორდულაძე**) მიღწევები. ის ემზადება **შალვა დავითაშვილის** სახელობის მუსიკოსთა კონკურსში მონაწილეობისთვის, რომელიც 8-10 ივნისს თელავში გაიმართება.

ცხადია, მოკლე წერილში ვერ მოხერხდებოდა ხელოვნების მე-5 სკოლის მრავალმხრივი შემოქმედებითი მუშაობის რამდენადმე სრულად წარმოჩენაც კი, მაგრამ, ვგონებ, ნათქვამიდანაც ცხადია სკოლის წარმატებები და გვჯერა, რომ იგი სულ უფრო ამრავლებს მათ.

ეკატერინე გურგენიძე





როცა საქმეს პროფესიონალები აკეთებენ

მეხუთე გვერდიდან

კურსდამთავრებული აბიტურიენტები სხვადასხვა პრესტიჟული უნივერსიტეტის წარმატებული და აქტიური სტუდენტები არიან.

თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეგიდით, ყოველწლიურად იმართება შემაჯამებელი ღონისძიებები, კონცერტები და მუსიკალური კონკურსები, რასაც პროექტებისა და ღონისძიებების ორგანიზატორი, მუსიკოსი **რუსუდან მუმლაძე** ხელმძღვანელობს.

იმასაც გეტყვით, რომ ძველი თბილისის ფილიალი დაინტერესებულია გონივრული სალონური საუბრებით. ამიტომ ჩვენს მოსწავლეებს ხშირად აქვთ იმის ფუფუნება, რომ ისაუბრონ ცნობად სახეებთან პირისპირ. გვსტუმრობს ჟურნალისტი **სოფო ნაცვლიშვილი**, იგი ძალიან საინტერესო შეხვედრების ორგანიზატორია.

დასასრულ, მადლობას ვუხდი გაზეთ „სახალხო განათლება+”-ის რედაქციას მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საქმიანობით დაინტერესებისთვის.

ხათუნა კახიძე-ჯელია,
მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ძველი თბილისის ფილიალის დირექტორი

ფერთა სიკაშკაშე მე-17 ბაგა-ბაღში

აქ ღირსეულ მამულიშვილებს ზრდიან

„მე-17 ბაღი – მშვიდობის მტრედი" – ასე ეწოდება დედაქალაქის ერთ მშვენიერ და გამორჩეულ საბავშვო დაწესებულებას, რომელიც ისნის რაიონის, მეტრომშენის დასახლებაში მდებარეობს. სახელწოდება სიმბოლურია, რადგან მტრედი სიმშვიდესთან და სიწმინდესთან ასოცირდება და ბაღიც, რა თქა უნდა, ასეთი უნდა იყოს. აქ პატარებს მშვიდი, კეთილგანწყობილი და ჯანსაღი ატმოსფერო შეუქმნეს, რამეთუ მომავალი თაობის ბედი აბარიათ და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას.

ლელა ბაქრაძე შესანიშნავი ხელმძღვანელი და გამორჩეული დირექტორია. ქალბატონი ლელა არამარტო კარგი მენეჯერი, არამედ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებაა. მას საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფია აქვს. ოთხ სხვადასხვა პროფესიაში ოთხი წითელი დიპლომის მფლობელია, აქვს მაგისტრის ხარისხიც. მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, იყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი; კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ლელა ბაქრაძე: დავიბადე თბილისში, ინტელიგენტების - აკადემიკოს **თამაზ ბაქრაძისა** და დამსახურებული პედაგოგის **ნანა ბაქრაძის** ოჯახში. კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ და მრავალმხრივი ნიჭით გამოვირჩეოდი, დავდიოდი: ცეკვაზე, სიმღერაზე, სამსახიობო ოსტატობისა და მხატვრული კითხვის წრეებზე. სკოლა წარჩინებით დავამთავრე. 16 წლიდან ვწერ ლექსებს და მრავალმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე, განათლებაც არაერთი მივიღე. საზოგადოებასთან ურთიერთობის განხრით, დაცული მაქვს დისერტაცია და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობისას - პრეზიდენტთან სათხოვნელად მოსულ მოქალაქეებს თუ დელეგაციებს მთელი გულით ვეხმარებოდი. ამასთან, იმ პერიოდში ქვეყნის მასშტაბით, 50 000 მოქალაქეს გავუწიე თანადგომა და უამრავი სიკეთე გავაკეთე.

ამჯერად, ქალბატონი ლელა თავის კეთილშობილურ საქმიანობას მე -17 ბაგა-ბაღში ხელმძღვანელის პოზიციაზე აგრძელებს - მთელი გულითა და დიდი პროფესიონალიზმით. იგი, გახლავთ სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული - შინაგანი კულტურით, არისტოკრატიული დახვეწილობითა და კეთილშობილებით გამორჩეული, ღირსეული მანდილოსანი, რომელიც უდიდესი შემართებითა და სიყვარულით უზრდის სამშობლოს ჯანსაღ თაობას და ამით მართლაც რომ უდიდეს საპასუხისმგებლო მისიას ასრულებს ქვეყნის წინაშე და ემსახურება საქართველოს.

ლელა ბაქრაძე: საბედნიეროდ, თბილისის მერია და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ძალისხმევას არ იშურებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის და მათზე ზრუნვა-განვითარება პრიორიტეტად აქვთ გამოცხადებული. ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულება კი, ნამდვილად მისასალმებელია, თბილისის მერის **კახა კალაძისა** და თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის **კახა აბულაძის** თავდაუზოგავი და მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, აღმშენებლობის ხანაა დაწყებული და იგი ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სტრუქტურადაა მიჩნეული.

მე-17 ბაგა-ბაღში, მართლაც რომ ბევრი წინგადადგმული ნაბიჯია, რომელმაც მოგვხიბლა ესთეტიკური გარემოთი, ინფრასტრუქტურით, კოლექტივის კეთილგანწყობით, ბავშვებისადმი დედობრივი მზრუნველობით და მაღალი კვალიფიკაციით. აღნიშნული ბაღის მნიშვნელოვანი წარმატება სწორედ კარგი ხელმძღვანელის დამსახურებაა. დირექტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბაღში წარმატებით დაინერგა ჰასპის პროგრამა, რომელიც ყველა წესების დაცვით ხორციელდება. ბაგა-ბაღების სააგენტოს მხარდაჭერით, საბავშვო დაწესებულებაში განხორციელდა შიდა სარემონტო სამუშაოები, კეთილმოეწყო და აღიჭურვა სამზარეულო, სველი წერტილები, საწყობები და მთელი შენობა.

ბაგა-ბაღში სრულყოფილად და საინტერესოდ მიმდინარეობს სასწავლო- სააღმზრდელო პროცესი. ნაყოფიერად ხორციელდება **„სასკოლო მზაობის პროგრამა"**. მოგეხსენებათ, სკოლამდელი ასაკი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ბავშვის განვითარებისთვის, სადაც ის ძირითადი უნარები ყალიბდება, რომელსაც შემდეგ მთელი ცხოვრება გაჰყვებათ. სწორედ, უნარების უკეთ განვითარებისთვის, ბაღში ფუნქციონირებს დამხმარე პროგრამა - **"ჰარტი"**, რომელიც შეიცავს ხელოვნებაზე დაფუძნებულ კრეატიულ-განმავითარებელ და სასწავლო მეთოდებს, რათა კიდევ უფრო ინტერაქტიული და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი. პროგრამა ითვალისწინებს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, წიგნიერების, მათემატიკური და სხვა საჭირო უნარების განვითარებას.

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ შემოქმედი დირექტორის და ერთ მუშტად შეკრული კოლექტივის მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგად, ბაღი მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეთოდურ მუშაობას, რომელსაც წარმატებით უძღვება გამოცდილი მეთოდისტი **მანანა დადიანიძე**. ბაგა-ბაღში უმაღლეს დონეზეა დაცული ჰიგიენისა და სისუფთავის ნორმები. ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ერთგულად და მაღალკვალიფიციურად ემსახურება ექთანი **მაია გაბიცინაშვილი**. საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ: მოადგილეს **ნინო ტომარაძეს**, ფსიქოლოგ **მაია წყარუაშვილს**, მნეს **ეკა მდივანს**, ლოგოპედს **ხათუნა ახლოურს**, სპეც. პედაგოგებს - **თამარ მუღალაშვილსა** და **თათია ჩიმაკაძეს**. გულისხმიერებით, დიდი სითბოთი და შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან ბაღის აღმზრდელები: **ქეთინო ბენაშვილი, თეა ბერბიჭაშვილი, ლია ბასოშვილი, თამილა ქენქაძე, მაკა რუხაძე, ირინა დოლიძე, ნინო ჭუმბურიძე, ნინო გვრიტიშვილი და ნათია გელაშვილი. ამ ჰარმონიულ და იდილიურ გარემოში ბავშვებზე, როგორც საკუთარ შვილებზე, ზრუნავენ აღმზრდელის თანაშემწეები: ციური ბაღდოშვილი, ია ჩიხლაძე, დონარა ანუშაძე, მარეხი ხუბაშვილი, ესმა აშორტია, თამთა დევდარიანი, თინიკო კირკიტაძე, ნინო შარაბიძე** და **ლალი გაფრინდაშვილი**.

ბაგა-ბაღებში მაღალ დონეზეა აღსაზრდელთა კვება. ამ მხრივ, დიდი შემართებითა და მონდომებით მუშაობენ მზარეულები: **ლალი კობალაძე, ვიოლა კონცელიძე** და **მაია მამნიაშვილი**.

ტრადიციად იქცა შთამბეჭდავი სადღესასწაულო ღონისძიებებისა და სეზონური ზეიმების გამართვა. აღსაზრდელების შემოქმედება დიდ მოწონებას და აღფრთოვანებას იმსახურებს მშობლებსა თუ მოწვეულ სტუმრებში.

აღსაზრდელებს ძალიან უყვართ მუსიკის პედაგოგი თიკო შამანიძე. დაკისრებულ მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობით ასრულებს ბაღის ტექნიკური პერსონალი: **ლელა ძიძიკაშვილი, მაკა ხუბუკელაშვილი, ნინო მალასიძე, თეა რობაქიძე, ნინო რუხაძე, ანა ბოსტოღანაშვილი** და **მარიამ გოგინაშვილი**. კოლექტივს მხარში უდგანან ხელმარჯვეობით გამორჩეულები: **ავთო ბერიძე** და **კარენ არუთინიანი**.

როგორც უკვე აღვნიშნე, **„მე-17 ბაღი მშვიდობის მტრედები"** – ამართლებს სახელწოდებას, რადგან აქ მართლაც, სიმშვიდეზე, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული საქმიანი, ჯანსაღი და თბილი ატმოსფეროა. ერუდირებული დირექტორის – **ლელა ბაქრაძის** თაოსნობით ბაგა-ბაღში ლამაზი და საინტერესო ცხოვრება ჩქეფს, სადაც იზრდებიან ჩვენი ქვეყნის ღირსეული მამულიშვილები!

ანანო სამელია

სიკეთისა და სიყვარულის კერა

2023 წელს საბავშვო ბაღებისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო. ეს არის სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი, რომელსაც საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს. გასული წელი დაეთმო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული როგორც საჯარო, ასევე კერძო საბავშვო ბაღების აღრიცხვას, ერთიან ბაზაში მოქცევას და რეგისტრირებული ბაღების მხრიდან საკუთარი დაწესებულების თვითშეფასების პროცესს. 2024 წელს შევსებული თვითშეფასებების საფუძველზე შედგება განრიგი, თუ რომელი ბაღი, რომელ წელს გაივლის ავტორიზაციას. 2025 წელს კი დაიწყება თვით ავტორიზაციის პროცესი, რომელიც 2030 წლამდე გაგრძელდება. პროცესი ძალიან დინამიური და საინტერესოა, ბევრ სიახლეს სთავაზობს დაწესებულებებს და საბავშვო ბაღები სხვადასხვა ერთიან აუცილებელ სტანდარტთან შესაბამისობაში მოჰყავს, რათა ბავშვებისთვის ბაღი გახდეს კიდევ უფრო საინტერესო და უსაფრთხო. თბილისის **მე-100** საბავშვო ბაგა-ბაღი (დირექტორი **მეგი მარღანია**) ერთ-ერთი წარმატებული ბაღია, რომელიც ყოველთვის აქტიურად არის ჩართული ყველა სიახლესა თუ პროექტში.

მეგი მარღანია: მე პირადად ისე დავინტერესდი პროცესით, რომ მონაწილეობა მივიღე გამოცხადებულ კონკურსში და ადრეული აღზრდისა და განათლების ან/ და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის ექსპერტი გავხდი. ძალიან საინტერესო 2 თვე გავატარე მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში, რომელთა მხარდამჭერიც ვიყავი თვითშეფასების პროცესში. შემდეგ თბილისის საბავშვო ბაღებში, ჩემს კოლეგებთან ერთად, ვიმუშავე დედაქალაქის ბაღების თვითშეფასებაზე. მე-100 ბაღის რიგებში კი კიდევ ორი ექსპერტი გვყავს – კურიკულუმის ექსპერტი ბაღის ფსიქოლოგი **ბელა ჯოხაძე** და ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის ექსპერტი ლოგოპედი **სოფიო ოქრომელიძე**.

საოცარი მხარდაჭერა იგრძნობა ყველა მხრიდან, განათლების სამინისტრო და ხარისხის ეროვნული ცენტრი, ასევე თბილისის მერია და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო კოორდინირებულად მუშაობენ, რათა უახლოეს მომავალში დაწესებულებამ წარმატებით

გაიაროს ავტორიზაცია. ისევე როგორც ქალაქის ყველა ბაღი, ჩვენი ბაღიც ძალიან ახლოს არის სტანდარტებთან ყველა მიმართულებით, პერსონალი კვალიფიციური და გამოცდილია; მოწესრიგებულია როგორც შიდა, ასევე გარე ინფრასტრუქტურა; არის სრული მზაობა და ჩართულობა ყველა დაინტერესებული პირის, თუ სტრუქტურის მხრიდან.

ბაღში 19 სააღმზრდელო ჯგუფია 700-მდე აღსაზრდელით. ფუნქციონირებს მულტიდისციპლინარული გუნდი: საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები – **ნანული ჟღენტი, ნატალია მესტიაშვილი, ზალინა ძუკაევა;** სპეც. პედაგოგები – **ნათია ქარჩავა, ესმა მოლაშხია, მარინე ქარჩავა, თინათინ ლაბაძე, ქეთევან ცინცაძე;** ფსიქოლოგები – **ბელა ჯოხაძე, ლიანა ქერდიყოშვილი,** ლოგოპედები – **ეკატერინე სამუშია, მაია კურტანიძე-მაჭავარიანი, სოფიო ოქრომელიძე** – რომელიც წარმატებით უძღვება სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამას.

ბაგა-ბაღის ყოველდღიურ საქმიანობაში დიდია მშობლთა ჩართულობა, კოლექტივის ყველა წევრი თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტია: დირექტორის მოადგილე **თამარ ჭითაშვილი**, საქმის მწარმოებლები – **ელისო ბოჭორიძე, ეკატერინე ბასარია, მირანდა გოგიბედაშვილი,** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორები – **მზია ხელაია, ლელა ლუაშვილი, სოფიო კიკნაძე,** ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები – **თამარ გოგმეჩაძე, მარიამ ქავთარაძე;**

ახალი კურიკულუმი „თამაშით“ დაგეგმილი პროექტების გარდა, ყველა ასაკობრივ ჯგუფში სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობები ტარდება, რომლებსაც წარმატებით უძღვებიან აღმზრდელები: **მარინე ხმალაძე, როზა ნარმანია, ირმა კუპატაძე, ლია ბუთხუზი, გიული ხუციშვილი, მანანა ხუციშვილი, მაკა ფალავანდიშვილი, ოლღა კოპალეიშვილი, ნატო მაღლაკელიძე, ნუნუ მიქავა, ზოია ნოზაძე, იტაშვილი, ხატია ალფენიძე, ლალი კავთიაშვილი, თამარ ციმაკურიძე, ჯეირან სერიძე, ვერა ტურტულაძე, მარინა ლიპარტელიანი, ფიქრია სვიანიძე, რუსუდან გვარამია, ნესტან ბარბაქაძე, ლია დუნდუა, მარიამ შპეტიშვილი, თამარ ედიშერაშვილი, ლალი ღიბრაძე, ეკატერინე სეფიაშვილი, იამზე მეზვრიშვილი, თათია ბარნოვი, ლალი ნიკოლეიშვილი, თამარ გეგეშიძე, მანანა კვარაცხელია, ციცინო ხმალაძე, მანანა მიდელაშვილი, ქეთევან იოსავა, მაია მწელიშვილი, სოფიო ჭალიძე, მაკა ბათმანიშვილი, ნანა პროკოპენკო, ნონა ბალალაშვილი, ლარისა მურადიანი, მაია მაყიშვილი, ნორინა კვირტია;**

ბაღში ყოველწლიურად აღინიშნება ქართული ენის, წიგნის საჯაროდ კითხვის, დედამიწის, დაუნის სინდრომის,

გაგრძელება მე-9 გვ.

172-ე ბაგა-ბაღი

წარმატებით დასრულებული სასწავლო წელი

თბილისის 172-ე ბაგა-ბაღის (დირექტორი **თამარ გობეჩია**) ისტორია, აშენებიდან დღემდე, არაერთი წარმატებული თაობის აღზრდა-განვითარებას ემსახურება. ადრე აქ, მცირე ზომის კეთილმოუწყობელი შენობა იდგა, რომელიც 9 თვიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვების აღზრდას ემსახურებოდა. 1986 წელს მაშინდელი ბაღის გამგის ქალბატონ **ლალა აფაქიძის** მონდომებით, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგული დამოკიდებულებით, აშენდა ახალი კეთილმოწყობილი შენობა, რომელიც თანდათან დაიხვეწა და ამჟამად ქალაქის ერთ-ერთი გამორჩეული ბაღია თავისი ინფრასტრუქტურითა და ესთეტიკური იერსახით. მოწესრიგებულია შიდა ინტერიერი, ოთახები, დერეფნები, სველი წერტილები, სამზარეულო.

ბაგა-ბაღში მიმდინარე სააღმზრდელო პროცესი, კურიკულუმები და თემატური ღონისძიებები აგებულია თანამედროვე მიდგომებსა და მეთოდოლოგიაზე. სააღმზრდელო ჯგუფებში შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების პროგრამებს წარმატებით ახორციელებენ კვალიფიციური, მაღალი პროფესიული განვითარების დონის აღმზრდელები, რომლებიც აღსაზრდელებს შემეცნებითი და მოტორული უნარების გასავითარებლად ნაირნაირ რესურსს სთავაზობენ.

ფუნქციონირებს მულტიდისციპლინარული გუნდი. აკვირდებიან და აფასებენ ბავშვთა განვითარებას, მართავენ შეხვედრებს, განიხილავენ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს აღმზრდელებთან და მშობლებთან ერთად. ადგენენ მოკლე და გრძელვადიან გეგმებს ბაღის გსმ აღსაზრდელებთან ერთობლივი მუშაობისათვის...

გათვალისწინებულია გართობა-თამაშები და შემეცნებითი ღონისძიებები. წლის მანძილზე აღინიშა საშემოდგომო, საახალწლო, წიგნის კითხვის, დედამიწის, ბავშვთა დაცვის და სხვა დღეები; მუსიკისა და ცეკვის აქტივობებზე მუდამ ხალისი და სიხარულია, სადაც პატარებს სხვადასხვა თემატური აქტივობებისთვის ამზადებენ.

სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა დასასრულს მიუახლოვდა. **„სასკოლო მზაობის“** ჯგუფებში სკოლამდელთა მზაობა დადგენილ მოთხოვნებს შეესაბამება. მეთოდოლოგია, რომლითაც მთელი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ, პატარებს ამ პროგრამის გაცნობასა და დაძლევაში ეხმარებოდა.

დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა ჯანსაღ კვებასა და ჰიგიენური მდგომარეობის მოწესრიგებას. ქალბატონი თამარი და კოლექტივის თითოეული წევრი, პოზიტიური და უშუალო დამოკიდებულებით, ქმნიან ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ უსაფრთხო და საინტერესო გარემოს.

სკოლამდელი განათლების სისტემაში ახალი ხედვებისა და გამოწვევების დანერგვა ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების საფუძველია. ის ფიზიკური სივრცე, კი სადაც ბავშვებს მიუხარიათ, წლების მანძილზე დაუღალავი შრომის შედეგად მიიღწევა. სწორედ ამიტომ, **172-ე** ბაგა-ბაღი დაჯილდოვდა დიპლომით, როგორც **„წლის საუკეთესო სააღმზრდელო დაწესებულება“** და მიიღო მერიის მადლობა **„თბილისის ერთგულებისათვის და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის.“**

ემოციურია, როცა ყოფილი აღსაზრდელები, ახლა უკვე თავიანთ შვილებს ტოვებენ გარემოში, სადაც ბავშვთა აღზრდა-განათლების სწორად წარმართვისათვის, ყველა პირობაა შექმნილი.

ნათია გუგუნავა

მე-100 ბაგა-ბაღი

მერვე გვერდიდან

აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღეები. წლის ბოლოს კი საქართველოს დამოუკიდებლობისა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეები აღინიშნა. დაგეგმილ ღონისძიებებს მუსიკალურად აფორმებენ მუსიკის პედაგოგები: **ლეილა მაჩაიძე, გენრიეტა ზაქარიაძე, ნათია დევრისაშვილი, სოფიკო გიუტაშვილი;**

აქ სულ შემოქმედებითი პროცესია, სუფთა, მოწესრიგებულ, უსაფრთხო ფიზიკურ გარემოსა და გემრიელი კერძებით პატარების გამასპინძლებაზე კი ტექნიკური პერსონალი ზრუნავს: **მარინე სვანიშვილი, ეკატერინე ბზარაშვილი, იზოლდა პოპიაშვილი, ნინო დგებუაძე, ინგა ტურაშვილი, მარინე ოქრომელიძე, ნონა ამაღლობელი, ციცინო ნიაზაშვილი, ნათელა მეშველაშვილი, ლუიზა ცომაია-მაღნარაძე, თამარ ნარიმანიძე, ნინო ბადაგაძე, ნანი ქარდავა, თამარ შარიქაძე, მედეა გაბუნია, მარინე გელაშვილი, მაია დემეტრაშვილი, ნატო გაფრინდაშვილი, ანჟელა სილოგავა, რუსუდან მარგებაძე, მარინე კოსიაშვილი, ლოლიტა გამისონია, ხათუნი აბრამიშვილი, მარინე ბუთხუზი, ანაიდა ასატუროვი, მაყვალა კილაძე, ქეთევან ჭაღიაშვილი, მზია ქიბიშაური, ნინო ჭანტურიძე, ფიქრია ხუციშვილი, ნინო მარჯანიძე, გოდერძი კოროშინაძე, ნუგზარ ჯალაღონია, ლუკა ოთარაშვილი, ოთარ ჭანტურიძე, არკადი პოღოსოვი;**



წელს ბაღში 6 სასკოლო მზაობის ჯგუფია. სასკოლო-სააღმზრდელო პროგრამა დასასრულს უახლოვდება და ბავშვების მზაობა დადგენილ მოთხოვნებს შეესაბამება. ექვსივე ჯგუფი გამოსაშვები ღონისძიებისთვის ემზადება, რომელიც ყოველთვის განსხვავებული ფორმატით ტარდება. წარმატება ვუსურვოთ ამ მართლაც გამორჩეულ სააღმზრდელო დაწესებულებას.

ნათია გურგენიძე

ერთი ლექსი

მშვენიერ მარიამ კანდელაკს

როცა გაგიცან მარი,
მართლა დავლოცავ იმ დღეს,
რადგან მას შემდეგ მკერდში,
გული სხვაგვარად მიცემს.

გაგიკვირდება ალბათ,
თავს რომ უფლებას ვაძლევ,
მაგრამ არავინ იცის,
თუ, რა მოხდება ხვალ-ზეგ.

ველარ ვივიწყებ, ველარ,
მაგ სულისშემძვრელ ღიმილს,
მგონია მაგ შენს გულში
მაგნოლიები ღვივის.

რა ასაკიდან მოგდევს,
ასეთი თმები, კარგო,
ვწუხვარ, რომ ასეთ მოდელს,
ვერ გეცეკვები ტანგოს.

მაბნევს, საოცრად მაბნევს,
შენი თვალების მზერა
და მუზებივით დამდევს,
ზეცაში ასაფრენად.

სევდას მე შენით ვფიქრობ,
აღარ მაქვს რამის დარდი,
მხოლოდ იმაზე ვფიქრობ,
ასე რად შემიყვარდი.

თუმცა, რაებსა ვბედავ,
აბა, სად შენ და სად მე,
არ გამიბრაზდე მეტად,
როცა შევხვდებით სადმე.

ზურაბ ბერიძე

ხათუნა გოცირიძის გახსენება

წუთისოფელი წუთი კი არა, ერთი წამია...

სკოლა „ივერონის" ცხოვრებიდან წავიდა დაწყებითი კლასების ბუნებისმეტყველების მასწავლებელი **ხათუნა გოცირიძე**. წავიდა ჩუმად, მშვიდად და შეუერთდა მდუმარების პანთეონს. წავიდა ისე, რომ ბოლომდე ვერ მოიხადა მშობლიური ვალი, ერთობ მძიმე ვალი რჩეულმა დედამ... დრო არ ეყო ღვთის რჩეულს... ცხოვრების შუა გზაზე შემოუღამდა... დრო არ ეყო, რომ ბოლომდე ებრძოლა დაუნდობელი ხვედრის წინააღმდეგ.

სასკოლო ცხოვრება პიროვნებებზე დგას. ერთი ასეთი პიროვნება სკოლა „ივერონს" დააკლდა **ხათუნა გოცირიძის** სახით. სკოლის პედაგოგებს განგებამ კიდევ ერთხელ მოგვიწყო გამოცდა, რათა გვეგრძნო, რომ წუთისოფელი წუთი კი არა, ერთი წამია...

ხათუნა შეუერთდა მარადისობას. ფიქრით, განსჯით საკუთარ ბილიკს საიმედოდ და ერთგულად მიუყვებოდა. პროფესიის გზაზე საკუთარი ღვაწლით სრულქმნილი პიროვნების სახელი დაგვიტოვა. გარდაიცვალა ადამიანი, რომლის პედაგოგიურ სიტყვას ყურადღებით ისმენდნენ სკოლის აღსაზრდელები. გარდაიცვალა პედაგოგი, რომლის სახელიც მიბარდა არა წარსულს, არამედ მომავალს. მომავალს, რომელიც დავიწყებით არ დაიბინდება და დარჩება კვალი ნათელი.

და გახსენების ჟამიც დადგა... დრომ უკურნებლად მიითვალა ტკივილიან-ცრემლიანი, გაუსაძლისი ორმოცი დღე... დრო ყველაფრის მკურნალიაო... ვერ გავითავისეთ... დღეს ყველამ ვირწმუნეთ, რომ ჩვენი ხათუნა მიწიერ სამყაროში აღარ განმეორდება.

წავიდა სუსხიანი ზამთარი, იწურება გაზაფხულიც...

შენთვის აღარ დადგა გაზაფხული ხათუნა! მოულოდნელად დააკლდი ოჯახს, მოსწავლეებს, პედაგოგებს... ბედმა უცებ გაგიმეტა სიკვდილისათვის, გაგიმეტა, რომ უფრო მწავავედ გვეგრძნო უშენობა... რა ძალას უნდა ჩაექრო ხათუნას სიცოცხლე?!

სიკვდილს ათასთა ტკივილი და ერთი „სიკეთე" ახლავსო - ის საოცარი სიზუსტით წარმოაჩენს ადამიანს. დღეს ყოველი ჩვენგანის წინ იშლება მოგონებათა ფურცლები. ნათქვამია, კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო – ერთი აქ დასარჩენი, მეორე კი თან წასაყოლი... ხათუნამ დაგვიტოვა სახელი მარადიული არდავიწყებისა.

– იყო და არა იყო რა?!

– არა!.. ყველაფერი ხათუ შენს თავს გვაგონებს. ქვეცნობიერადაც შენთან ვართ. მოულოდნელად წახვედი ჩვენგან, დაგვიტოვე საფიქრალი... საფიქრალი, რომ არასწორად ვცხოვრობთ, ვცხოვრობთ უსიყვარულოდ, ვცხოვრობთ ისე, რომ „...და სინანულიც იქნება გვიან, და სიყვარულიც იქნება გვიან". ვგრძნობთ, მარადიული არავინ ვართ ქვეყნიერებაზე. შენს ირგვლივ კვლავ არ ჩამქრალა ჩვენი ვნებათაღელვა. ზღვა სიყვარული დაგვიტოვე... საკუთარ თავზე არასოდეს საუბრობდი. ჩუმი, უპრეტენზიო, საოცრად დინჯი, კრიტიკულ მომენტშიც აუღელვებელი, მუდამ ინარჩუნებდი წონასწორობას, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებით განებივრებული არასდროს ყოფილხარ.

ჩვენ, პედაგოგები, ისე შევეჩვიეთ შენს სიმშვიდეს და მოკრძალებას, ვფიქრობდით ასეც უნდა ყოფილიყო... ალბათ, ამიტომაც საკმარისად ვერ მოგეფერეთ. ვინ იცის რამდენი აუხდენელი ოცნება წაიღე თან განუხორციელებელი.

ათეული წელია ერთ ბილიკზე მოვაბიჯებდით. ყველანი ვგრძნობდით შენს შინაგან ძლიერებას... და უცებ



ჩვენს წინ დაიფერფლა შენი ლამაზი სიცოცხლე.

ორმოცდაათი წელი... სიცოცხლის შუადღე, დრო, როცა ცხოვრების აღმართი იწყება... და მოულოდნელად წახვედი ჩვენგან ხათუნა. წახვედი რწმენის და იმედის ბედთან მორკინალი.

და დღეს, გახსენების ჟამს ყველაფერი შენს თავს გვაგონებს, გვიმძიმს უშენობა. შენს მოგონებას ყოველი ჩვენგანის გულში ცრემლი ნამავს. ღმერთს შევთხოვთ შენმა სულმა სასუფეველში დაიმკვიდროს, სადაც არ არის ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული...

ხათუნა, მეხიერებიდან წარუშლელად გვრჩება შენი ღვთიურობა: შენივე სპეტაკი სულით მირქმა დღეს წარსდექი უფლის წინაშე... ჩაქრა კიდევ ერთი ელვარე სანთელი!

სკოლა „ივერონის" პედაგოგები

ცოტა წავიპოლიტიკოსოთ!

გამოხატვის უფლება უფლებას მაძლევს

მასწავლებელთა უზარმაზარ არმიას კარგა ხანია საკუთარი გაზეთი არა აქვს. არა და, „სახალხო განათლება" 95 წლისაა. განათლების სამინისტრომ უკმეხად მოგვიშორა: თქვენი თავი თავად ირჩინეთ, თუ არადა, თავში ქვა გიხლიათო.

– აბა, „ახალი განათლება" რადა არის? – თავს წამოყოფს ჩირგვებში ჩასაფრებული მავანი.

– რა არის და ისიც შავ დღეშია. განათლების სამინისტრომ თითო ცალი ბიბლიოთეკებს შეუძინა. არც ერთს, არც მეორეს ჯიხურებში, წამლადაც რომ გინდოდეს, ვერ შეიძენ. პედაგოგიური ჟურნალებიც არ არის.

არც ელექტრონული მედია იკლავს თავს განათლების პრობლემათა გაშუქებით. როგორაა საქმე უცხოეთში? როგორდა, როგორც დაგიბარებია. ყველა ქვეყანაში ბეჭდური და ელექტრონული მედია ხელიხელჩაჭიდებულნი დადიან, სახელმწიფო აფინანსებს.

ჩვენ კი ვნატრობთ, ვოცნებობთ, როდის მოგვხედავენ. „ღმერთო, ღმერთო, ეგ ხმა ტკბილი გაგვაგონე ჩვენს მამულში!" „თუ ამას გავიგონებდით, ჭრელს ჩავიცომდით ჯუბასა, არ ვიტირებდით ამიერ „სახალხო განათლებასა".

***

„ჰოი, რა ხდება ქვეყანაზე, ჰორაყიო?!"

კარგისთვის კარგი ვის უქნიაო? – მართალი ყოფილა. ვირო, მადლიო? – ესეც მართალი ყოფილა. ოცნებლებს ნაცებით დაწყებული და „გირჩით" დამთავრებული, ყოველდღე დედას აგინებს სახალხოდ. მაიდანს მოგიწყობთო, დაგამხობთო, – ემუქრებიან.

ამ დროს პარტია „ალტმოძრაობა" მთავრობის მხარეს იყო: მაიდანს მოგიწყობენ? ჩვენ ანტიმაიდანს მოვუწყობთო. საქმითაც დაადასტურეს, ყოველთვის ჩაუშალეს ნაცებს გეიპრაიდი.

სამაგიეროდ? ქოცებმა „ალტინფოელებს" პარტია გაუუქმეს?!

რა ქვია ამას?

***

უმადურობის მწვერვალი

ზვიად გამსახურდიამ სალომე ზურაბიშვილის და მისი წინაპრების ოცნება აღასრულა: ჟორდანიას აქტ-კონსტიტუციის საფუძველზე აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა.

სალომე და მისი ქმარი **ჯანრი კაშია** მთელი ცხოვრება ზვიადს ებრძოდნენ. სად არის აქ ლოგიკა?

***

ეს პარტნიორობაა?

ამას გიზამ, იმას გიზამ,–
და გვპირდება სასწაულს,
პარტნიორობა არისო,–
დასავლეთი გვასწავლის.
დაგსჯით, დაგასანქცირებთო,–
გვემუქრება გიული.
ესაა პარტნიორობა,
ისიც სტრატეგიული?!

***

ნარატივი

ნააზრევი –ნარატივი
აღარა აქვს ნაროს ტივი
ოჩამჩირეში შევიდეს
არ ეყოფა ასი ტივი.

მოსე მწერალი

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი"
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედაკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N4 (4620)
30 მაისი / 2024 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან
ISSN 1987-9113